საკანონმდებლო სიახლეების

ცნობარი

(2021 წლის აპრილი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2021 წლის აპრილის თვეში.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

2021 წლის 30 მარტს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“. აღნიშნული ცვილებების საფუძველზე, კანონში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

1.“ 26-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „ც3“–„ც5“ ქვეპუნქტები:

„ც3) იღებს ზომებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულე-ბებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირებისათვის;

ც4) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ამტკიცებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტს;

ც5) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ამტკიცებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესს;“.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2. 33-ე მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „ე1“ ქვეპუნქტი:

„ე1) მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი სრულყოფილი განვითარებისათვის უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;“;

ბ) მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ე) უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის ტერიტორიაზე კვების უსაფრთხო პირობების შექმნა;“

ზემოაღნიშნული კანონის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 430050000.05.001.020312

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2021 წლის 13 აპრილს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №48/04

2021 წლის 30 მარტს, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა შესაბამისად დამტკიცდა ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესი. ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესი ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ანგარიშვალდებულ პირებზე, რომლებიც კლიენტთან ან/და კლიენტის სახელით მოქმედ პირთან უშუალო კონტაქტის გარეშე, ელექტრონულად ახორციელებენ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პრევენციულ ღონისძიებებს. აღნიშნული წესის მიზანია ხელი შეუწყოს ანგარიშვალდებულ პირებს კლიენტების ელექტრონული იდენტიფიკაციისათვის/ვერიფიკაციისათვის საჭირო პროცედურების შემუშავებასა და

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

განხორციელებაში და დაადგინოს ელექტრონულად განხორციელებული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის დროს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით გასატარებელი მინიმალური ღონისძიებები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სხვა მრავალ საკითხებთან ერთად, აღნიშნული წესი არეგულირებს ანგარიშვალდებული პირის მიერ ელექტრონული იდენტიფიკაცი-ის/ვერიფიკაციის პროცესის დანერგვას, ელექტრონული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცესის ეტაპებს, ინფორმაციის განახლების პროცედურას და ვალდებულებას, ელექტრონული იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცესის შეწყვეტის პირობებს და საზედამხედველო ზომებსა ან/და სანქციებს.

წინამდებარე ბრძანებას თან ერთვის დანართი N1 (ქვეყნების ჩამონათვალი) და დანართი N2 (კითხვარი ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების თაობაზე).

ზემოაღნიშნულ ბრძანების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016557

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 აპრილს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №74

2021 წლის 4 აპრილს, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში „სისტემურ-ელექტრონული ფორმით ლატარიის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიერ მოთამაშის რეგისტრაციის, იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, ბრძანების რამდენიმე მუხლმა განიცადა ცვლილება, რომლებიც ძირითადად არეგულირებენ რეგისტრაციის დროს სავალდებულოდ მისათითებელ/მოსაპოვებელ მინიმალურ ინფორმაციის ჩამოანთვალს, ინფორმაციის ცვლილებების დასაშვებობის პირობებს, ოპერატორის ვალდებულებას, საქართველოს მოქალაქის და ბინადრობის მოწმობის მფლობელის შემთხვევაში პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მოთამაშედ რეგისტრაციისა და რისკზე დაფუძნებული

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

მიდგომისას, გადაამოწმოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

ცვლილებები შეეხო წინამდებარე ბრძანების გარდამავალი დებულებების მარეგულირებელ მუხლსაც, რომელიც განსხვავებულად არეგულირებს ამა თუ იმ სავალდებულო პროცედურისა და მოქმედებების განხორციელების თარიღებსა და ვადებს, რაზედაც მნიშვნელოვანია რომ აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ პირთაგან ყურადღება მაქსიმალურად იქნეს გამახვილებული.

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.033.017462

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 6 აპრილს და მისი მოქმედება ვრცელდება 2021 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №11/ნ

2021 წლის 8 აპრილს, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა ბრძანების მე-9 მუხლი (მოსწავლის სტატუსის შეჩერება). შესაბამისად, განსახვავებულად დარეგულირდა მოსაწავლის სტატუსის შეჩერების პირობები, ვადები, საფუძვლები, მოსწავლის სტატუსის ავტომატურად შეჩერების პირობები და სხვა ის ქვეპუნქტები, რაც ბრძანების მე-9 მუხლით იყო დარეგულირებული.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ ცვლიებებზე სკოლის ადმინისტრაციის მიერ მაქსიმალურად იქნეს ყურადღება გამახვილებული.

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 430050000.22.022.018011

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 12 აპრილს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ

2021 წლის 12 აპრილს, ცვლილებები განხორციელდა „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბრის №95/ნ ბრძანებაში“. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, შეიცვალა ბრძნების რამდენიმე მუხლი. კერძოდ, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა ასინქრონული და ჰიბრიდული სწავლების მარეგულირებელი მუხლები, ამასთანავე განისაზღვრა, რომ დისტანციური სწავლების მოდელს ირჩევს სკოლა და ათანხმებს შესაბამის რესურსცენტრთან, აღნიშნულ ბრძანებაზე დართული წესის (დანართი №1-ით) განსაზღვრული განაცხადის ფორმით. დისტანციური სწავლების რომელიმე მოდელის სასწავლო წლის დაწყებამდე შერჩევის შემთხვევაში, სკოლა წერილობით მიმართავს შესაბამის რესურსცენტრს სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 14 დღისა, ხოლო სასწავლო წლის მიმდინარეობისას, აღნიშნული წესით განსაზღვრული გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან, მნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ ახალი რედაქციით განისაზღვრა სინქრონული ელექტრონული სწავლების დროს გაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა შესაბამისი კლასების მითითებით.

აღსანიშნავია, რომ ბრძანებას თან ერთვის დანართი N1, რომლითაც განსაზღვრულია დისტანციური სწავლების შეთანხმების ფორმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებუ-ლებებისთვის და სასკოლო ადმინისტრაციამ ზემოაღნიშნული ურთიერთობების დასარეგულირებლად, სწორედ აღნიშნული ფორმით უნდა ისარგებლონ.

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 430050000.22.022.018010

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 12 აპრილს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №82

2021 წლის 14 აპრილს, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა 2009 წლის 30 დეკემბრის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №916 „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე ბრძანების რამდენიმე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, კერძოდ:

1. მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნა.

2. მე-11 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის შემთხვევებში წარმოებს ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშიდან შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის (შემდგომში - უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო) მიერ სახელმწიფო ხაზინაში წარდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე.“;

ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნა;

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. ზედმეტად ან შეცდომით ჩარიცხული სხვა შემოსულობების თანხის დაბრუნება ან სხვა შემოსულობების თანხების გადატანა ან/და ბიუჯეტის კოდის არასწორი სიმბოლოებით ხაზინის ერთიან ანგარიშზე მიმართვის შემთხვევაში შეცდომის გასწორება წარმოებს ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან სახელმწიფო ხაზინის მიერ.“;

დ) 3^1 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3^1. ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების და შეცდომის გასწორების ოპერაციები შესაძლებელია განხორციელდეს ასევე შესაბამისი დოკუმენტაციის სახაზინო სამსახურის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონული სახით განთავსების შემთხვევაში.“;

ე) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. შეცდომით ან ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება ან შესწორება, რომლებიც ამ ინსტრუქციით არ რეგულირდება და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, სახელმწიფო ხაზინის მიერ შესაძლებელია სახაზინო სამსახურის უფროსთან შეთანხმებით გადასახადის გადამხდელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.“;

ვ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„6. სახელმწიფო ხაზინა ამზადებს ანგარიშს გადასახადის და სხვა შემოსულობების ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების და სხვა შემოსულობების გადატანის შესახებ, რომელსაც ყოველთვიურად წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.“.

3. მე-13 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა) გადასახადის გადამხდელის მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების თანხის (მათ შორის, საბაჟო სანქციის) ჯამი აღემატება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული გადასახადების ან/და სანქციების (მათ შორის, საბაჟო სანქციის) თანხის ჯამს;“;

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნა;

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშიდან მასზე რიცხული ნაშთის ფარგლებში ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხაზე საგადახდო დავალების წარდგენა ხდება საგადასახადო შემოწმების გარეშე, გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენიდან 1 თვის ვადაში.“;

დ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნა.

4. VII თავი და მე-14 მუხლი ამოღებულ იქნა.

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 190040000.22.033.017464

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 19 აპრილს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-34/ნ

2021 წლი 15 აპრილს, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 დეკემბრის N01-133/ნ ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, ბრძანების რამდენიმე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლებიც

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ძირითადად ეხებოდა დასაქმებულ მშობელსთვის (მამა) ბავშვის მოვლის გამო შვებულების დახმარების გაცემის წესს, ბავშვის დაბადების მოწმობის და შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის გაცემის პირობებს, ბავშვის დედის მიერ ანაზღაურებადი შვებულების გამოყენებული დღეების რაოდენობის შესახებ, დასაქმებულის ვალდებულებას, დახმარების მიღების უზრუნველსაყოფად სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალის, დასაქმებულს ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლის მარეგულირებელ ნორმებს, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების არ ანაზღაურების პირობათა ჩამონათვალის და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტების მარეგულირებელი მუხლები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ბრძანებას დაემატა მე-7 პუნქტის „ბ[1]“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ-დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სააგენტო ამოწმებს ინფორმაციას იმის შესახებ, არის თუ არა ბავშვის მშობელი, რომელიც ითხოვს დახმარებას, მოქმედი საჯარო მოსამსახურე. ინფორმაციის წყაროს კი წარმოადგენს სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა (eHRMS).

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016862

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 მაისს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №173

2021 წლის 16 აპრილს, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ კი აღნიშნული ცვილებების საფუძველზე დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესიდან და პირობებიდან“ ამოღებულ იქნა მე-20 მუხლის მე-9 პუნქტი - „სანებართვო

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპის დასრულებამდე 10 დღით ადრე ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ“.

ზემოაღნიშნულ დადგენილების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 300310000.10.003.022728

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 19 აპრილს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №94

2021 წლის 23 აპრილს, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან მნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ ბრძანებას XV[1] თავის შემდეგ დაემატა XV[2] თავი. აღნიშნული თავი არეგულირებს აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების პირობებს, კერძოდ, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების პროცედურას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს, გადავადების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების წესსა და პირობებს და აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებას.

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017465

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 26 აპრილს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №13

2021 წლის 27 აპრილს, დამტკიცდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობისათვის არქიტექტურული პროექტისა და სანებართვო დოკუმენტაციის ან მისი ნაწილის ელექტრონული ფორმით წარდგენისა და აღნიშნულთან დაკავშირებული ელექტრონული საქმისწარმოების წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს არქიტექტურული პროექტის ან/და სანებართვო დოკუმენტაციის ან მისი ნაწილის ელექტრონული ფორმით წარდგენის, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით საქმისწარმოების და მომსახურების განხორციელების პირობებს. წინამდებარე წესით განისაზღვრა ადმინისტრაციული წარმოებისა დაწყება და განცხადების შეტანის პროცედურა, დოკუმენტაციის წარდგენა, დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, ელექტრონული მომსახურების ვადები და ელექტრონული მომსახურების ინსტრუქცია.

ზემოაღნიშნულ დადგენილების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 010250050.35.132.016516

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 27 აპრილს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №14

2021 წლის 27 აპრილს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №12 დადგენილებაში. კერძოდ, ზემოაღნიშნული ცვლილებების საფუძველზე ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა დადგენილების პირველი მუხლი:

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„მუხლი 1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობების და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად დადგინდეს მშენებლობის დეტალური შეტყობინება, კანონით დადგენილი წესით.“

ზემოაღნიშნულ დადგენილების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 010250050.35.132.016519

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 27 აპრილს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge